

მყარი სხეული, სითხე და აირი

დააკვირდი საგნებს, რომლებსაც
საჯ ხედავ შენ ირგვლივ. რა
აქვთ მათ საერთო და რით
განსხვავდებიან ერთმანეთისგან?
ნაიკითხე ტექსტი და შეაფარე
შენს ჰასუსს.


უამრავი რამ არის ჩვენ გარშემო. მათი
ნაწილი მყარი სხეულია. ზოგი სითხეა, ზო-
გიც – აირი. მათგან ფორმა მხოლოდ მყარ
სხეულს აქვს. სითხე იმ ჭურჭლის ფორმას
იღებს, რომელშიც ასხია. აირი კი ჰაერში
იფანტება. მას ფორმა არ აქვს.

მყარი სხეული ფორმას იცვლის ხოლმე.
ის შეიძლება დავეყოს, მოვლუნოთ... ზოგი
მყარი სხეული როცა ცხელდება, დნება.
ესე იგი, თხევადი ხდება. ზოგს ამისთვის

მაღალი ტემპერატურა სჭირდება. აი, მაგა-
ლითად, რკინა. იგი დნობას $+1500^{\circ}\text{C}$ -ზე
ინყებს. ზოგჯერ მყარი სხეული როცა
ცხელდება, აირად იქცევა.

მოდით ვნახოთ, როგორ იცვლება წყალი.
წყალი სითხეა. ყინვაში ის ფორმას იცვლის
– იყინება. ყინული უკვე მყარი სხეულია.
სითბოში ყინული დნება. როცა წყალი
დუღს, ჩვენ ორთქლს ვხედავთ. ეს აირია.
აირი ჰაერში იფანტება. მაგრამ რა ხდება,
როცა აირი ცივდება? იგი ისევ სითხედ
იქცევა. ამის მრავალი მაგალითი არის
ბუნებაში. წყალი ერთადერთი ნივთიერე-
ბაა, რომელიც ბუნებაში გვხვდება მყარი,
თხევადი და აირის სახით.

გაიხსენე მყარი სხეულის დნო-
ვის რამდენიმე მაგალითი.



▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რას ვიგებთ პირველი აბზაციდან?

- ა) რა განსხვავებაა მყარ სხეულს, სითხესა და აირს შორის.
- ბ) როგორ გარდაიქმნება მყარი სხეული სითხედ და აირად.
- გ) რომელია მყარი სხეულის, სითხისა და აირის მაგალითები.

2 გაყინული წყალი არის:

- ა) აირის მდგომარეობაში.
- ბ) თხიერ მდგომარეობაში.
- გ) მყარ მდგომარეობაში.

3 +1500° C -ზე გაცხელებისას რკინა:

- ა) აირად გარდაიქმნება.
- ბ) თხიერ მდგომარეობაში გადადის.
- გ) მყარ მდგომარეობაში რჩება.

4 რომელ წინადადებაშია არასწორი ინფორმაცია?

- ა) აირი ჰაერში იფანტება, ამიტომ მას ფორმა არ აქვს.
- ბ) მყარი სხეული იცვლის ფორმას, დნება, ორთქლდება.
- გ) წყალს ნებისმიერ მდგომარეობაში აქვს ფორმა.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

1. ბევრი რამ არის ჩვენ **გარშემო**.

ა) გარეშე. ბ) გვერდით. გ) ირგვლივ.

2. ყველგან ბევრი **მყარი სხეულია**.

ა) დიდი საგანია. ბ) მკვრივი საგანია. გ) მსხვილი საგანია.

3. აირი ჰაერში **იფანტება**.

ა) გროვდება. ბ) იშლება. გ) ქრება.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

ა) დნება – ლღვება. ბ) იღუნება – იხრება. გ) იყოფა – მთლიანდება.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ბევრი. ბ) ზოგი. გ) მრავალი. დ) უამრავი.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დანერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. (სიცხე) ----- დროს ყინული დნება.

2. ზოგი რამ ბუნებაში (სითხე) ----- სახით არსებობს.

2 დანერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის რაც გაიფანტა, არის გაფანტული.

1. ის, რაც გაიყინა, არის -----.

2. ის, რაც გაიღუნა, არის -----.

გრამატიკა

3 დაასრულე წინადადება.

1. შენ ხედავ. მე -----, ჩვენ -----.
2. შენ დაყოფ. მე -----, ჩვენ -----.

წერა

1 ტექტის მიხედვით დაწერე აირის, სითხისა და მყარი სხეულის მახასიათებლები.

სითხე	----- ----- -----
აირი	----- ----- -----
მყარი სხეული	----- ----- -----

2 მისწერე მეგობარს წერილი და ურჩიე შეამოწმოს, როგორ გადადის წყალი ერთი მდგომარეობიდან მეორეში.
